საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის 2019-2026 წლების სტრატეგიული გეგმის შუალედური (სამი წლის) ანგარიში

2022 წლის 28 თებერვალი

წინამდებარე სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში განხილულია საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ დამტკიცებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის ჭრილში (დამტკიცებულია 2019 წლის 20 სექტემბრის N03/19 ოქმით).

ანგარიში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მიერ.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს აქვს სამი სტრატეგიული მიზანი, ესენია:

1. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა
2. ინფრასტრუქტურის განვითარება
3. კოლეჯის პოპულარიზაცა

2019 წელს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაცია, რომლის ფარგლებშიც მას შეეძლო განეხორციელებინა სამი პროგრამა:

1. ვებ ტექნოლოგიები
2. კომპიუტრეული ქსელები და სისტემები
3. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება

აღნიშნულ პროგრამებზე კოლეჯმა განაცხადში აღნიშნა, რომ სურდა თითოეულ პროგრამაზე 15 ვაკანტური ადგილის გამოყოფა, რომელიც დადებითად გადაწყდა. UG კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა 2019 წლისათვის შედგენდა 45.

2021 წელს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა მოიპოვა უფლება განახორციელოს კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების და ასევე კომპიუტერული ქსელის ადმინისტრიტების პროგრამაზე დუალური სწავლება, რომლის ფარგლებშიც კოლეჯს შეუძლია თითოეულ პროგრამაზე მიიღოს 5 პროფესიული სტუდენტი.

2022 წელს საქართველოს უნივერსიტეის პროფესიულმა კოლეჯმა დიდი მოთხოვნისა და მომართვიანობის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება რომ მოეხდინა ვებტექონოლოგიეს პროფესიული სტუდენტების ადგლების ზღვრული რაოდენობის გაზრდა, რომლის შემდეგაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს შეუძლია მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი.

მდგრადი ფინანსური და მატერიალური რესურსი

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს აქვს 5 პროფესიული პროგრამა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური თუ ადამინური რესურსით, კოლეჯის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარით, კოლეჯის სტრატეგიული გეგმიდან გამომდიარე, კოლეჯში მუდმივად მიმდინარეობს მატერიალური ბაზის გაუმჯოებესება საჭიროებებიდან გამომდინარე. ასევე საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯის ფინანსური მდგრადობა გამყარებულია საქართველოს

უნივერსიტეტთან დადებული შეთანხმებით, რომელიც მიზნად ისახავს UG კოლეჯის ფინანსურ და მატერიალურ მდგრადობას.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრქტურის განვითარების მიზნით, 2020 წლის სექტემბრის თვეში, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა, მოახდინა ფართის ცვლილება და გადავიდა საბურთალოზე, კერძოდ ჯანო ბაგრატიონის N6-ში სადაც სამივე პროგრამის ფარგლებში მოიპოვა პროგრამის განხორციელების უფლება.

ხოლო 2021 წელს ამავე შენობაში მოხდა კიდევ ერთი სართულის იჯარით აღება, რაც ასევე მოეწყოა და გაიმართა სასწავლო პროცესისათვის, სწორედ აღნიშნული ფართის დამატების ხარჯზე მოხდა ვებტექნოლოგიების პროგრამისათვის ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

დაწესებულების ცნობადობის გაზრდა

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯისათვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს კოლეჯის პრენდის ცნობადობის გაზრდა, სწორედ ამიტომ კოლეჯს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მემორანდუმი აქვს გაფორმებული საქართველოს უნივერსიტეტთან, რომელსაც 3 დიდ რეგიონში აქვს რეგიონალური ოფისები, კერძოდ ბათუმი, ქუთაისი და ზუგდიდი. სწორედ აღნიშნული რეგიონალური ოფისების მეშვეობით ხდება ინფორმაციის გავრცელება კოლეჯის შესახებ, სკოლებსა და მიზნობრივ აუდიტორიებში.

კოლეჯის მისიაა რომ იყოს ადგილობრივ და საერთაშორიოს ბაზარზე მოთხოვნადი, რისთვისაც კოლეჯმა 2022 წელს შექმნა ინგლისურენოვანი ვებ გვერდი, გაწევრიანდა საერთაშორიოს ორგანიზაცია EfVET the **European Forum of Technical and Vocational Education and Training** და ასევე გააფორმა მემორანდუმი Norwich University-სთან.

დაწესებულების და პროგრამების ცნობადობის გაზრდის მიზნით, კოლეჯი წარმოდგენილი იყო დასაქმების ფორუმზე რომელიც საქართველოს უნივერსიტეტის კამპუსზე გაიმართა.

ასევე მუდმივად ხდება დამსაქმებლებისა და სტუდენტების ერთმანეთთან დაკავშირება, როგორც სამომავლო დასაქმების კუთხით ასევე მათი პროფესიულად გაზრისათვის.

2021-2022 წლებში UG კოლეჯი წარმოდგენილი იყო IFCS-ზე რომელიც არის ერთადერთი კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ფესტივალი და იმართება ყოველწლიურად უკვე მე-6 წელია, კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები იყვნენ სხვადასხვა პანელზე მომსხენებლები. მათ მიეცათ საშუალება რომ გაცნობოდნენ ქვეყანაში მიმდინარე კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას, გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს, რომლებიც ეფუძვნება რეალურ ქეისებს, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორში.

2020 წელს, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა ჩაატრა ტრენინგი სტუდენტებისათვის, კახეთში სადაც მათ საშუალება ქონდათ არაფორმალურ გარემოში შეხვედროდნენ დარგის სპეციალისტებს და მოესმინათ ტრენინგი.

2021-2022 წლებში კოლეჯმა მოახდინა თანამშრომლების გადამზადება, კერძოდ ერთ ერთი პროგრამის ხელმძღვანელი დააფინანსა კვალიფიკაციის ამაღლებაში, HR მენეჯერი და ბუღალტერი კი გადაამზადა საქართველოს უნივერსიტეტის დახმარებით თავიანთ მიმართლებებში.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ფარგლებში, 2022 წელს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელდა პროფესიული განათლების ექსპერტების მონიტორინგის ვიზიტი. მონიტორინგის დასკვნაში გაიცა გარკვეული რეკომენდაციები სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით. კონკრეტულად, ექსპერტების მიერ რეკომენდირებული იყო, რომ გეგმა არ ყოფილიყო კონცენტრირებული კონკრეტულ პროგრამაზე ან კონკრეტულ აქტივობაზე ვიწრო ჭრილში და უფრო კომპლექსურად წარმოედგინა დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი ხედვა. ასევე, რეკომენდებული იყო, დაკორექტირებულიყო დოკუმენტში გამოყენებული უმაღლესი განათლების ტერმინები, როგორიცაა, მაგალითად, „სილაბუსი“, „აკადემიური პერსონალი“ და სხვ.

ხარისხის შდა უზრუნველყოფის ფარგლებში, კოლეჯმა განხორციელებული გამოკითხვები. მათ შორის, მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შეფასების მიზნით, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პარტნიორების წარმომადგენელთა გამოკითხვა.

ჩატარებული გამოკითხვები, ასევე, სტრატეგიული გეგმის წინამდებარე შუალედური ანალიზი გვაჩვენებს, რომ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნები და აქტივობები ვერ ფარავს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხვონებს, კერძოდ, ადამიანური რესურსებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ სტანდარტებს. შესაბამისად, რეკომენდებულია, სტრატეგიულ გეგმაში ასახული იყოს მიზნები და აქტივობები აღნიშნულის ფარგლებში.

ექსპერტების რეკომენდაციის, გამოკითხვებისა და წინამდებარე ანგარიშის საფუძველზე, მიზანშეწონილია განხორციელდეს სტრატეგიული გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხის გადახედვა გადახედვა. უფრო კონკრეტულად, გადაიხედოს:

1. დოკუმენტში გამოყენებული უმაღლესი განათლების ისეთი ტერმინების დაკორექტირების საკითხი, როგორიცაა, მაგალითად, „სილაბუსი“, „აკადემიური პერსონალი“ და სხვ.
2. სტრატეგიული მიზნების ფორმულირების ცვლილება იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის გრძელვადიან ხედვას/გეგმებს;
3. სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის და პერსონალის განვითარების შესახებ საკითხების დამატება.

მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შეფასების მიზნით, კოლეჯმა განახორციელა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პარტნიორების წარმომადგენელთა გამოკითხვა.